აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრის

ნადიმ ვარშანიძის ანგარიში

საანგარიშო პერიოდი 01.09.2021 – 31.12.2022

საკანონმდებლო საქმიანობა:

კომიტეტის წევრობა:

1. განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომიტეტი;

2. აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა კომიტეტი;

1. საანგარიშო პერიოდში, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკთხთა კომიტეტში ჩატარდა 10 სხდომა, მათ შორის 2 გასვლითი სხდომა; ჩართული ვიყავი კომიტეტის ეგიდით ჩატარებულ თემატურ მოკვლევაში.

2. საანგარიშო პერიოდში, აგრარულ და გარემოს დაცვის კომიტეტში ჩატარდა 13 სხდომა, მათ შორის 1 გასვლითი, ქედაში, სოფ.ძენწმანი, ჩირის საწარმოში;

ფრაქციის წევრობა: „ქართული ოცნება“

საანგარიშო პერიოდში დავესწარი ფრაქციის სხდომას (16.12.2021).

მუდმივმოქმედი სათათბირო საბჭოს წევრობა: გენდერული თანასწორობის საბჭო

პლენარული სხდომა: სულ ჩატარდა 12 სხდომა, ვესწრებოდი 11 პლენარულ სხდომას

სხვა აქტივობები: შეხვედრა მქონდა ზ/წინსვლის საშუალო სკოლის და თხილნარის საშუალო სკოლის მასწავლებლებთან და მოსწავლეებთან, 2021 წელი, თებერვალი;

სკოლებში არსებული მდგომარეობის ანალიზის საფუძველზე ჩემი მოსაზრებები და რეკომენდაციები განვიხილე კოლეგებთან ერთად განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომიტეტში.

შეხვედრები მქონდა სოფ. წინსვლის მოსახლეობასთან სოფ. მასაურაში ნაგერვაძე-ძნელაძეების უბანში, მოსახლეობიდან მიღებული ინფორმაციები, გამოთქმული მოსაზრებები და ანალიზის გაზიარება მოვახდინე კომიტეტებში, 2021 წელი, სექტემბერი

ვესწრებოდი ხულოს, შუახევის, ქედის და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში ჩატარებულ ღონისძიებებს:

ა) ,,მაჭახლობა,, სახალხო დღესასწაული, ოქტომბერი, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი

ბ),,შუამთობა,, სახალხო დღესასწაული, აგვისტო, ხულოს მუნიციპალიტეტი

გ),,შემოდგომა ქედაში,,-ღვინის ფესტივალი, ნოემბერი, ქედის მუნიციპალიტეტი

2022 წლის 10 ნოემბერს დავესწარი თურქეთის რესპუბლიკის 99 წლისთავთან დაკავშირებით გამართულ ღონისძიებას, რომელიც თურქეთის საკონსულო ორგანიზებით გაიმართა;

2022 წელი, ნოემბერი, AGRO BATUMI-ს საზეიმო ღონისძიებას დავესწარი;

2022 წელი, 10 დეკემბერი, მონაწილეობა მივიღე კონფერენციაში ,, ქალთა მონაწილეობა პოლიტიკურ და საარჩევნო პროცესებში“, რომელიც ,,IFES“-ის სა და აჭარის უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭოს ორგანიზებით გაიმართა.

მოქალაქეთა მიღება: საანგარიშო პერიოდში უმაღლეს საბჭოში მივიღე 8 მოქალაქე.

მივლინება უცხოეთში: 2022 წელი, 23- 27 მაისი, მიწვეული ვიყავი რუმინეთში ქ. სუჩეავას სტეფან სელ მარეს უნივერსიტეტში საქართველოსა და რუმინეთს შორის უმაღლესი განათლების სფეროში თანამშრომლობის განვითარებაზე დისკუსიის მიზნით.